საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030156045967922

№ 01-62/ო **07 / თებერვალი / 2022 წ.**

იმუნიზაციის განხორციელების ხელშემწყობი კომისიის შექმნის შესახებ

ქვეყანაში იმუნიზაციის პროცესის ხელშეწყობის მიზნით, ,,საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის № 473 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეიქმნას იმუნიზაციის განხორციელების ხელშემწყობი კომისია (შემდგომში - კომისია) შემდეგი შემადგენლობით:

ა) ზურაბ აზარაშვილი - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი, კომისიის თავმჯდომარე;

ბ) თამარ გაბუნია - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

გ) ილია ღუდუშაური - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

დ) ეკატერინე ადამია - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის სამმართველოს უფროსი (პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსის მ/შ), კომისიის წევრი;

ე) ბექა ჯაყელი - სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი, კომისიის წევრი;

ვ) შორენა ოქროპირიძე - სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის კანონშემოქმედებითი საქმიანობის სამმართველოს უფროსი, კომისიის წევრი;

ზ) ამირან გამყრელიძე - სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) გენერალური დირექტორი, კომისიის წევრი;

თ) პაატა იმნაძე - ცენტრის გენერალური დირექტორის მოადგილე მეცნიერების დარგში, კომისიის წევრი;

ი) ხათუნა ზახაშვილი - ცენტრის გადამდებ დაავადებათა დეპარტამენტის უფროსი, კომისიის წევრი;

კ) ვლადიმერ გეთია - ცენტრის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამების და რეგიონული მართვის დეპარტამენტის უფროსი, კომისიის წევრი;

ლ) ლია ჯაბიძე - ცენტრის იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვისა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსი, კომისიის წევრი.

2. კომისიის მუშაობაში მონაწილეობის მიღება ეთხოვოს:

ა) თამარ უგულავას - UNICEF-ის საქართველოს წარმომადგენლობა;

ბ) თამარ სირბილაძეს - ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) საქართველოს ოფისი;

გ) რუსუდან კლიმიაშვილს - ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის საქართველოს ოფისი;

დ) გიორგი ქურციკაშვილს - ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის საქართველოს ოფისი;

ე) მაია ხერხეულიძეს - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ექსპერტ-პედიატრი;

ვ) ივანე ჩხაიძეს - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ექსპერტ-პედიატრი;

ზ) ქეთევან ქასაშვილს - შპს ,,იმუნიზაციის ცენტრის" დირექტორი.

3. კომისიის ამოცანებია:

ა) ქვეყნისათვის ყოველწლიურად საჭირო ვაქცინების რაოდენობისა და სპეციფიკაციის განსაზღვრა;

ბ) ვაქცინებისა და იმუნიზაციის პროცესის შესახებ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრისათვის წინადადებების წარდგენა;

გ) ვაქცინებისა და იმუნიზაციის შესახებ შემუშავებული წინადადებების წარდგენა GAVI-ს სამდივნოში;

დ) იმუნიზაციის სფეროში სამთავრობო და არასამთავრობო პარტნიორებს შორის მჭიდრო კოორდინაციისა და კონსულტაციების უზრუნველყოფა;

ე) ახალი და არასაკმარისად ხმარებულ ვაქცინათა დანერგვისას ავადობის მნიშვნელობის შეფასება სახელმწიფოებრივ დონეზე.

4. კომისიის საქმიანობის წესი:

ა) კომისიას ხელმძღვანელობს თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში თავმჯდომარის მოადგილე, ან თავმჯდომარის მიერ დელეგირებული პირი;

ბ) კომისიის თავმჯდომარე უფლებამოსილია საჭიროებისამებრ, დამატებით მოიწვიოს და საკონსულტაციო პროცესში ჩართოს დამატებით ექსპერტები, ასევე, საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები;

გ) კომისია იკრიბება საჭიროებისამებრ. კომისია უფლებამოსილია თუ სხდომას ესწრება კომისიის წევრთა ნახევარზე მეტი, გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია საბჭოს თავმჯდომარის ხმა;

დ) კომისიის სხდომა ფორმდება ოქმის სახით, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, კომისიის წევრები და კომისიის მდივანი;

ე) კომისიის მუშაობის ორგანიზაციულ-ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს კომისიის სამდივნო. სამდივნოს ფუნქციების შესრულება ეკისრება სამინისტროს პოლიტიკის დეპარტამენტის ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის სამმართველოს.

5. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,იმუნიზაციის განხორციელების ხელშემწყობი კომისიის შექმნის შესახებ" საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2019 წლის 29 ივლისის N01–246/ო ბრძანება.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

საქართველოს ოკუპირებული
ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრი

ზურაბ აზარაშვილი